ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა სახელშეკრულებო ურთიერთობების დროს - შედარებითი სამართლებრივი მიმოხილვა

მაია სუხიტაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ფაკულტეტზე კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამაგისტრო ნაშრომი

კერძო (ბიზნეს) სამართალის სამაგისტრო პროგრამა

ხელმძღვანელი: შალვა პაპუაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მაია სუხიტაშვილი

01.07.2020.

აბსტრაქტი

ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა ვალდებულების დარღვევის ერთ-ერთ გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს, თუმცა იგი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში რეგულირებული არ არის, რაც ზრდის მისი არასწორად განმარტებისა და ინტერპრეტაციის რისკს, შესაბამისად, ხელს უშლის ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრებას. აღსანიშნავია, რომ ხშირია შესრულების შეუძლებლობის, ფორს მაჟორისა და არაბრალეულობის ცნებათა გაიგივება, თუმცა თითოეული სხვადასხვა სამართლებრივ კატეგორიას განეკუთვნება, რაშიც, თავისთავად, განსხვავებული სამართლებრივი შედეგებიც მოიაზრება.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ცალკეული ნორმების კვლევისა და მათი განმარტების შედეგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა შეიძლება იყოს როგორც აბსოლუტური, ასევე ფარდობითი ხასიათის, ამიტომ, შეთანხმებით გათვალისწინებული მოქმედების განხორციელების შესაძლებლობა შეიძლება გამოირიცხოს როგორც, საზოგადოდ, ნებისმიერი პირისათვის, ასევე მხოლოდ მოვალისათვის. ამასთან, შესრულების შეუძლებლობის გამო მოვალე თავისუფლდება პირველადი ვალდებულებისაგან, ხოლო კრედიტორს წარმოეშობა შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, თუ შეუძლებლობა გამოწვეულ იქნა მოვალის ბრალით. ამასთან, შესრულების ვალდებულებისგან გათავისუფლება აქარწყლებს მოვალის უფლებას, მიიღოს საპირისპირო შესრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ვალდებულების შესრულება შეუძლებელი გახდა კრედიტორის ბრალით, ან როდესაც ამ უკანასკნელზე უკვე გადასულია „ფასის“ რისკი.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ნამდვილი შეუძლებლობა, ფარდობითი შეუძლებლობა, ზიანის ანაზღაურება, კეთილსინდისიერება, ინტერესთა თანაფარდობა, ბრალი.

Abstarct

Impossibility to fulfill obligation, is one of the most common types of breach of contract, but Georgian Civil Code doesn't include regulations for it, which increases the risk of its misinterpretation and disturbes homogeneous judicial practice to establish. Also, force majeure , impossibility of performance and inculpability are frequently discussed as the same concepts, however, each of them belong to the various legal categories and are connected to the different legal results.

As a result of research and interpretation of the certain norms of German Civil Code, we can say, that impossibility of performance may be as absolute, as relative nature, because fulfillment of the contractual obligation can be impossible as for everyone, as just for the obligor. Impossibility of performance reveals debtor from the primary obligation and creditor may damand damages in lieu of performance, if breach has been caused by obligor's culpable action. Also, if debtor is not obliged to perform, he/she is not entiteled to take opposite performance (consideration), except when impossibility has been formed by creditor's fault or when the risk of "price" has already been transferred to obligee.

Key search words: absolute/real impossibility, relative impossibility, claim for damages, good faith, balance of interests, culpability.